

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

29. 07. 2014 წელი

66/2

----- ქ. თბილისი № -----

სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა გარე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 20-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა რეგისტრაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე 2014 წლის 1 აგვისტოდან 31 აგვისტოს 18:30 სთ-მდე: <http://eqe.ge/geo/mobility>.
2. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე მობილობის წესით გადმოსვლის მსურველ, მობილობის უფლება მოპოვებულ სტუდენტთა შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2014 წლის 25 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს სტუდენტის პირადი საქმის ასლი.

3. შესაბამისი კომისიების მიერ მობილობის მსურველთა საბუთების განხილვის ვადად განისაზღვროს 2014 წლის 2-3 სექტემბერი.
4. 2014 წლის 4-5 სექტემბერი განისაზღვროს მობილობის მსურველთა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა (საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულება) და საუნივერსიტეტო გამოცდის/ტესტირების/გასაუბრების (ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მიმართულებებზე - კონკურსის შემთხვევაში) ჩატარების ვადად.
5. 2014 წლის 6 სექტემბერი განისაზღვროს მობილობის მსურველთა სააპელაციო განაცხადების მიღების ვადად.
6. გარე მობილობის შედეგების გამოქვეყნების ვადად განისაზღვროს 2014 წლის 8 სექტემბერი.
7. გარე მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის გამოცემის ვადად განისაზღვროს - 9 სექტემბერი.
8. გარე მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთა სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანების პროექტის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის ვადად განისაზღვროს 2014 წლის 10-11 სექტემბერი.
9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურებს.

